

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა - I ტური

VII კლასი

I სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

1. რომელია სწორი წინადადება?

- ა) არსებით სახელებს ახასიათებთ კუმშვა და კვეცა
- ბ) არსებით სახელებს ახასიათებთ მხოლოდ კუმშვა
- გ) არსებით სახელებს ახასიათებთ მხოლოდ კვეცა

2. რომელი არ არის ქართული ენის აღმოსავლური დიალექტი?

- ა) იმერული
- ბ) ფშაური
- გ) ქართლური

3. რომელია ფორმაცვალებადი სიტყვა?

- ა) ვიმხიარულეთ
- ბ) ნეტავ
- გ) უიმე

4. რომელია ფორმაუცვლელი სიტყვა?

- ა) პლანშეტი
- ბ) იისფერი
- გ) ზემოთ

5. რომელ ბრუნვაშია არსებითი სახელი „დედისათვის“?

- ა) სახელობითში
- ბ) მოქმედებითში
- გ) ნათესაობითში

6. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა?

„ვარდთ შემოუნახავთ წვეთები წვიმის.“

- ა) მოთხრობითში
- ბ) მიცემითში
- გ) ნათესაობითში

7. რომელია სწორი წინადადება?

- ა) კუმშვა ხდება ორ ბრუნვაში.
- ბ) კუმშვა ხდება სამ ბრუნვაში.
- გ) კუმშვა ხდება მიცემითსა და ნათესაობითში.

8. რომელია სწორი წინადადება?

- ა) ღვინოთი მთვრალი ბერიკაცი სასიამოვნოდ ღიღინებდა.
- ბ) ლიმნით მორთული ტორტი მიირთვეს იუბილარს.
- გ) პეპლის ფარფატი ღამის შუქს აკრთობდა.

9. რომელ წინადადებაშია გამოყენებული მოქმედების სახელი?

- ა) ფერადი გაზაფხულიც დადგა.
- ბ) თოვლის მოსვლამ ბავშვები გაამხიარულა.
- გ) შემოდგომის სურნელი დატრიალდა ჰაერში.

10. რომელ წინადადებაშია გამოყენებული კვეცადი სახელი?

- ა) ჩიტმა სახლი აიშენა და ბარტყებიც გამოჩეკა.
- ბ) დედის ცრემლებზე ია ამოდისო.
- გ) ლომის ღრიალმა ნადირიც კი დააფრთხო.

II სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (20 ქულა)

11. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით:

„მხიარული ნადიმი გაუმართავთ ღმერთებს ოქროს სასახლეში. სიდიადითა და ძალაუფლების ამაყი შეგნებით სუნთქავს მისი ვაჟკაცური და მშვენიერი სახე.“

- ა) ხალისიანი, გულზვიადი, თვალწარმტაცი
- ბ) მწუხარე, ამპარტავანი, გაბღენძილი
- გ) ლაზათიანი, გულარხინი, სასიამოვნო

12. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ ანტონიმებით:

„გაუთავებელი ომებითა და დამპყრობთა შემოსევებით გაჩანაგებული საქართველო გადარჩენის გზებს ეძებდა. მეფე ერეკლე ძლივს უმკლავდებოდა ყოველი მხრიდან მოსულ მტერს.“

- ა) გაპარტახებული, მონა, მოყვარე
- ბ) აშენებული, მონა, მოყვარე
- გ) აშენებული, გაბედნიერებული, დამპყრობელი

13. ტექსტში ხაზგასმული სიტყვები შეცვალეთ ფრაზეოლოგიზმებით:

„ზევის მსახური რისხვით დაემუქრა ჰეფესტოს და გააფრთხილა, ისე მაგრად მიეჭედებინა კლდეზე პრომეთე, რომ თავი ვერაფრით ვერ გაეთავისუფლებინა. დაიღალა ჰეფესტო ფიქრით, თუ როგორ დაემკრინა თავი, მაგრამ ზევის შეუბრალებელი მსახურები თვალს არ აცილებდნენ.“

- ა) თითის განძრევა, თავის მტვრევა, თავის გატანა
- ბ) თავის აშვება, თავის დადება, თითზე კბენა
- გ) თითის დაქნევა, თავის დახსნა, თავის მტვრევა

14. დაასრულეთ ანდაზა: „ ფიცი მწამს ...“

- ა) მაგრამ ვერაფერი გამიგიაო
- ბ) და ბოლო მაკვირვებსო
- გ) და აღარც მწამსო

15. რომელია ბარბარიზმი?

- ა) კრუმკა
- ბ) ჩაიდანნი
- გ) ლამბაქი

III სავარჯიშო - შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (40 ქულა)

16. რომელია წოდებით ბრუნვაში სწორად დასმული საკუთარი არსებითი სახელი?

- ა) მაიკო, მოიტანე შენი ნახატები და გვაჩვენე.
- ბ) მარიამო, ძალიამ მიყვარხარ!
- გ) თომავე, რა მოწესრიგებული მოსწავლე ხარ!

17. რომელია კვეცადი გვარი?

- ა) ჯანხოთელი
- ბ) სამხარაძე
- გ) ჯავახიშვილი

18. შეურჩიეთ სიტყვას შესაბამისი კრებითი სახელი: ცხვრის...?

- ა) რემა
- ბ) ნახირი
- გ) ფარა

19. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი მამულში?

- ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში

20. რომელ წინადადებაშია სასვენი ნიშანი სწორად დაწერილი?

- ა) „შვილო ჩემო ეკრძაღე აზონს ნურას უჩვენებ სიკეთეს და ღირსებას შენსას.“
ბ) „დედა, გილოცავ დაბადების დღეს!“
გ) „ხვალ ხუთშაბათს ექსკურსიაზე მივდივართ!“

21. რომელ წინადადებაშია კრებითი სახელი გამოყენებული?

- ა) მთის ფერდობზე ჯოგი შეფენილიყო.
ბ) ყვავილმა თვალი გაახილა.
გ) ერთხელ დამაბრუნე ბავშვობის წლებში.

22. რამდენპირიანია ზმნა წინადადებაში: „მაისის ვარდებმა თავი დახარეს.“

- ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი

23. რამდენპირიანია ზმნა წინადადებაში: „მშვენიერი მაისი დადგა.“

- ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი

24. რომელ წყვილშია ზმნიზედა?

- ა) ლამაზად იღიმება ბ) ლამაზი მეგობარი გ) გალამაზებული ბალი

25. რას ნიშნავს სიტყვა გამრჯე?

- ა) ზარმაცს ბ) მშრომელს გ) მოსეირნეს

ბონუს-სავარჯიშო:

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (15 ქულა)

1. რა არის წინადადება?

- ა) მხოლოდ სიტყვათა ერთობლიობა
ბ) სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც დასრულებულ აზრს გამოხატავს.
გ) სიტყვათა ერთობლიობა, რომელიც დაუსრულებელ აზრს გამოხატავს.

2. რა არის არსებითი სახელი?

- ა) საგნის აღმნიშვნელი სიტყვა
ბ) საგნის ნიშან-თვისების აღმნიშვნელი სიტყვა
გ) მოქმედების გამომხატველი სიტყვა

3. რომელ ბრუნვაშია დასმული სიტყვა: ადამიანო?

- ა) წოდებითში ბ) ნათესაობითში გ) მიცემითში

4. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული წინადადებაში -

„ ფერიასავით გოგონაა ეს თამარი.“?

- ა) შედარება ბ) ჰიპერბოლა გ) ეპითეტი

5. ვინ არის ავტორი იგავ-არაკისა - „ენით დაკოდილი“ ?

- ა) ივანე კრილოვი ბ) სულხან-საბა ორბელიანი გ) აკაკი წერეთელი